



აპლიკაციები სოფლის მეურნეობაში

სალომე ონიანი
ნანა დიხაშინჯია
ალტე უნივერსიტეტი
ინოვაციური განათლების ფონდი

IoT საფუტკრეში



ვებგვერდი

- ტემპერატურა
- მოძრაობა
- ტენიანობა
- ხმაური



<https://www.youtube.com/watch?v=Qtgggj1p2c>

სოფლის მეურნეობის ბაზარზე მეფუტკრეებსაც შეუძლიათ იპოვნონ ჭკვიანი ტექნოლოგიები მათი სკების მონიტორინგისა და დასაცავად. ბაზარზე არსებობს რამოდენი პროვაიდერი, რომლებიც აწარმოებენ სკის მონიტორინგის სენსორებსა და მოწყობილობებს. ისინი ახორციელებენ შემდეგი მონაცემების მონიტორინგს:

- სკაში არსებულ ტემპერატურას
- სკაში მოძრაობის ინტენსივობას
- სკაში არსებულ ტენიანობას
- ხმაურს, რომლის გამოყენებით შესაძლებელია სკაში თავდასხმის აღმოჩენა


მობილური აპლიკაციების გამოყენება

- ინფორმაციულობა
- ფინანსური სერვისები
- იმპორტთან წვდომა
- ბაზრის მონაცემებთან წვდომა



მობილური აპლიკაციის გამოყენებით ფერმერს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას გააუმჯობესოს ნათესების მდგომარეობა, განსაზღვროს დარგვის საუკეთესო პერიოდი, განსაზღვროს კულტივაციისა და მოსავლის აღების პერიოდი. ეს ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს სოფლის მეურნეობის საუკეთესო გამოცდილებას, ამინდის პროგნოზს და მონაცემებს დაავადებისა და ეპიდემიების შესახებ. მსგავს მობილურ აპლიკაციებს შეუძლიათ, როგორც ახალბედა ფერმერების მომზადება, ასევე გამოცდილი ფერმერებისათვისათვის ახალი მეთოდების გაცნობის და გამოყენების შესაძლებლობის მიცემა.

მობილური აპლიკაციის გამოყენებით ფერმერს ასევე შეუძლია ფინანსური ოპერაციების ჩატარება, როგორც გადახდები, სესხები და ზოგად საბანკო მომსახურება. დამატებით, არსებობს აპლიკაციები, რომლის გამოყენებით ფერმერს შეუძლია ნახოს ბაზარზე არსებული პროდუქტის მოცულობა, ფასი და მოთხოვნადობა. გარდა აღნიშნული მობილური აპლიკაციებისა არსებობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გაყიდვის ონლაინ პლატფორმები, რომელშიც ფერმერებს ეხმარებიან პროდუქტის ეფექტურად გაყიდვაში.



მაგალითად, ქართველი ფერმერებისათვის ფერმერთა ასოციაციის მიერ შეიქმნა მობილური აპლიკაცია „აგრონავტი“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ სისტემას და ფერმერს აძლევს მის მიერ წარმოებული პროდუქტის გაყიდვის, ახალ ბაზარზე გასვლისა და მომავალ კლიენტებთან დაკავშირების საშუალებას. აპლიკაციის საშუალებით ფერმერს შეუძლია განათავსოს ინფორმაცია თავისი პროდუქციის შესახებ, მიიღოს ინფორმაცია ფასების, კვლევების, სერტიფიცირების, აგროდაზღვევისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

<https://play.google.com/store/apps/details?id=ge.org.gfa.gfa>

Soplidan.ge

